ჩვენი პარტიისა და მთავრობის დადგენილების საპასუხოდ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 179 (3156)

14 1966 წ. სექტემბერი ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი

სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს დადგენილებამ დასახა კონკრეტული პროგრამა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ. დადგენილების მიღებიდან სულ ცოტა ხანი გავიდა და უკვე მოდის სასიხარულო ცნობები ახალ სპორტულ მშენებლობათა დაწყების, ბავშვთა სპორტული სკოლების გახსნის, სპორტული აღჭურვილობის გამოშვების და სხვათა შესახებ. და აი, ზოგიერთ მათგანზე გვიამბობენ საკდესის კორესპონდენტები:

## ● სპორტული სიჭაბუკის სკოლა

კიევი. დამთავრდა რესპუბლიკაში პირველი სპეციალიზებული სპორტული სკოლა-ინტერნატის შენობის აგება. ოქტომბრის თვეში უკრაინის დედაქალაქის ახალი სასწავლებელი ფართოდ გაუღებს კარს აღსაზრდელებს. ქაბუკებისა და გოგონების განკარგულებაში იქნება სპორტული დარბაზი და სპორტთამაშობათა მოედანი. შემდგომ აქ აიგება საცურაო აუზი, ტანვარჯიშული და სხვა დარბაზები. ორი წლის შემდეგ ეს იქნება სპორტული კომპლექსი, რომელსაც ზემოთ დასახელებული სარბიელების გარდა, ექნება სტადიონი, საჩოგბურთო კორტები, დახურული მძლეოსნური მანეჟი და სხვ.

ახალ ინტერნატში იმეცადინებენ VI-X კლასის მოსწავლეები. ისინი დაეუფლებიან ტანვარჯიშს, მძლეოსნობას, ცურვას, ჩოგბურთს, ნიჩბოსნობას, ფარიკაობასა და სპორტულ თამაშებს.

## ● ახალი კომპლექსები

გორკი. ამ ქალაქის სპორტის სასახლის ახლო დაიწყო დახურული საცურაო აუზის მშენებლობა. მდინარე ოკის ახლო მდებარე ფერდობზე მალე დამთავრდება ოთხდარბაზიანი კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, ძალოსანთა და მოჭიდავეთა წვრთნისთვის.

ახალი სპორტული კომპლექსები იქმნება ქალაქის სხვა რაიონებში. ბევრი მათგანი აშენდება საწარმოთა სახსრებით. პორმოვისა და ავტომშენებელთა რაიონში აქ არსებული ქარხნებისა და ფაბრიკების ფულადი სახსრებით მიმდინარეობს სამი დიდი საცურაო აუზის აგება. გორკის ავტოქარხანამ თავიანთი მძლეოსნებისთვის დააფინანსა ჩინებული მანეჟის მშენებლობა.

სსრ კავშირის პირველობაზე

# მეათე „საიუბილეო“ ქულა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 13 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (ოდესა) 0:0.

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხელიძე (მაისურაძე), ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, იამანიძე, გ. სიჭინავა, მესხი.

ასკ: გრიშკოვი, შვედიუკი, ლუკაშჩუკი, მანზიიჩუკი, ზახაროვი, ოსიპოვი, პროსიკოვი (საფარიანი), გორბაჩი, სატაევი, კოროტკოვი, ვარგა.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

დუბლიორები — 5:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

ოდესის არმიელებმა მიმდინარე ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში პირველი ქულა თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრის შემდეგ ჩაიწერეს. ეს მოხდა 2 მაისს. დაახლოებით ხუთი თვის მანძილზე ასკ-მ ამ პირველ ქულას მხოლოდ 8 ახალი დაუმატა და მტკიცედ დაიმკვიდრა აუტსაიდერის ადგილი. გუშინ ოდესელებმა „დინამოს“ სტადიონზე მე-10 „საიუბილეო“ ქულა აიღეს, მაგრამ ამით ოდნავადაც ვერ გაიუმჯობესეს მდგომარეობა. ოდესის არმიის სპორტული კლუბის გუნდი კვლავ ქვედა ლიგაში გადასვლის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად რჩება.

თამაშის დასაწყისიდანვე ცხადი გახდა, რომ ოდესელებს საკმაოდ თავისებური წარმოდგენა აქვთ ფეხბურთზე. მათი მთავარი მიზანი მეტოქის კარი კი არ იყო, არამედ საკუთარი საჯარიმო მოედნის უსაფრთხოება. ამიტომ მათ შეტევის წარმოების სურვილიც კი არ გამოუხატავთ. 7-8, ზოგჯერ კი მეტი ფეხბურთელი ფუტკარივით ფუსფუსებდა მეკარის გარშემო და ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ბურთი რაც შეიძლება შორს გადაეგდო.

ასეთ ვითარებაში გაკვირვება გამოიწვია დინამოელთა ტაქტიკამ (ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ I ნახევარზე), რომლებიც სტუმრების კარს მხოლოდ 3 ფეხბურთელით (დათუნაშვილი, იამანიძე, მესხი) უტევდნენ. დინამოელებმა პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგოლე მომენტი უკვე მე-4 წუთზე შექმნეს. დათუნაშვილმა ჩამოაწოდა „მოჭრილი“-კუთხური, რომელიც ძლივს მოიგერია გრიშკოვმა. ბურთთან ისევ დათუნაშვილი გაჩნდა, მაგრამ ძლიერი დარტყმა აცდა ოდესელთა კარს.

ათიოდე წუთის შემდეგ მესხმა ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და კარისკენ დაარტყა. გრიშკოვს ბურთი ხელიდან გაუსხლტა, მაგრამ იქვე გაჩნდა არმიელთა რამდენიმე მცველი და... ხელსაყრელი მომენტიც დაიკარგა. საინტერესოა ითქვას, რომ მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ოდესელ თავდამსხმელებს დინამოელთა კარში ბურთი არ დაურტყამთ.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა მძაფრი შტურმი წამოიწყეს. ბურთი ფაქტიურად არ მოსცილებია სტუმრების საჯარიმო მოედანს. ასკ მთელი ძალებით იცავდა თავს, არ ერიდებოდა დროის აშკარად გაყვანას. მაგრამ ამ ქაოსში ძნელი იყო თავისუფალი დერეფნის გამონახვა. ოდესელი ფეხბურთელები უაღრესად დიდი თავგანწირვის ფასად უახლოვდებოდნენ სასურველ ფინიშს. და აი, გაისმა კიდეც მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა.

ნ. ბადრიძე.

ფეხბურთი 1966

# მოულოდნელი საჩუქარი

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 13 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 0:1 (0:0).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, წვერავა, ვეკუა, ხაჟალია, ასიტაშვილი, გ. ნოდია.

„ნეფტიანიკი“: კრამარენკო, ბოგდანოვი, ბრუხტი, ბაბაევი, ტროფიმოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გრიაზევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, გაჯიევი.

მსაჯი ბ. სოლოვიოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 6:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ქუთაისელი ფეხბურთელები საკავშირო ჩემპიონატის პირველ წრეში ბაქოში დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. ცხადია, „ტორპედოს“ გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელოდნენ საპასუხო მატჩს და მასზე სამართლიან იმედებს ამყარებდნენ.

თამაში ტორპედოელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ სტუმრების კარის შტურმი მხოლოდ 5 წუთს გაგრძელდა. სულ მალე მეტოქეთა შანსები გათანაბრდა. მკვეთრად დაეცა ტემპი, რაც უდაოდ ხელს აძლევდა ბაქოელ ფეხბურთელებს. ისინი მდორედ აწარმოებდნენ კონტრშეტევებს, მაგრამ საჯარიმო მოედანში შეჭრას ქუთაისელთა მეკვეთად ვერ ახერხებდნენ.

საგოლე მომენტი პირველად მხოლოდ 35-ე წუთზე შეიქმნა, როცა ლოსაბერიძემ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში და კრამარენკომ დიდის გაჭირვებით ბურთი კუთხურზე გაგზავნა.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს „ტორპედოს“ ნახევარმცველთა და თავდამსხმელთა თამაში. მთელი მატჩის მანძილზე კუტივაძის გადაცემები უმისამართოდ იკარგებოდა, თავდამსხმელები კი ვერაფრით ვერ ახერხებდნენ ბაქოელთა საჯარიმო მოედანში შესვლას.

მატჩის მეორე ნახევარი მასპინძლებმა კიდევ უფრო დუნედ ჩაატარეს. 71-ე წუთზე დაინიშნა საჯარიმო დარტყმა, რომელიც კარგად შეასრულა ასიტაშვილმა, მაგრამ კრამარენკომ ამჯერადაც უვნებელყო კარი. 75-ე წუთზე კი „ტორპედომ“ მოულოდნელი საჩუქარი შესთავაზა სტუმრებს: მარჯვენა ფლანგიდან ქუთაისელთა საჯარიმო მოედანზე შეჭრილ ბანიშევსკის წივწივაძემ და ებრალიძემ გზა დაუთმეს. არასწორი პოზიცია შეარჩია კვასხვაძემაც და ბაქოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ამ უკანასკნელს თავზე გადაუგდო ბურთი. ანგარიში გაიხსნა.

მატჩის დამთავრებას სამიოდე წუთი აკლდა, როდესაც ხაჟალია მეკარის პირისპირ გავიდა. მაგრამ იგი მოულოდნელად დაიბნა და კარში დარტყმის ნაცვლად ბურთითვე უკან გამობრუნდა. მას მოუსწრეს მცველებმა და საგოლე მომენტიც დაიკარგა.

შ. ნიჟარაძე. (ჩვენი კორ.)

„ა“ კლასი I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 25 | 17 | 7 | 1 | 52—12 | 41 |
| ცსკა | 23 | 13 | 6 | 4 | 51—30 | 32 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 25 | 12 | 7 | 6 | 40—25 | 31 |
| სკა (როსტოვი) | 25 | 14 | 2 | 9 | 40—37 | 30 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 23 | 11 | 7 | 5 | 33—27 | 29 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 23 | 8 | 12 | 3 | 24—16 | 28 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 25 | 10 | 7 | 8 | 32—21 | 27 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 24 | 9 | 7 | 8 | 34—26 | 25 |
| „დინამო“ (მინსკი) | 24 | 8 | 8 | 8 | 24—23 | 24 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 7 | 9 | 8 | 26—25 | 23 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 22 | 9 | 5 | 8 | 21—22 | 23 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 25 | 9 | 5 | 11 | 30—39 | 23 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 23 | 8 | 4 | 11 | 23—30 | 20 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 25 | 5 | 10 | 10 | 21—30 | 20 |
| „არარატი“ (ერევანი) | 25 | 6 | 8 | 11 | 18—36 | 20 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 24 | 7 | 4 | 13 | 31—43 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 22 | 3 | 10 | 9 | 15—29 | 16 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 23 | 5 | 4 | 14 | 17—33 | 14 |
| სკა (ოდესა) | 24 | 1 | 8 | 15 | 11—36 | 10 |

* * *

„დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1

„დინამო“ (მინსკი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:0

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — ცსკა 0:1

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 1:1.

# 3:3

„ა“ კლასი II ჯგუფი

ივანოვო. „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტექსტილშჩიკი“ და თბილისის „ლოკომოტივი“. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3:3.



ინგლისის ქალაქ სტამფორდის მახლობლად მიმდინარეობს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში.

სურათზე: საბჭოთა სპორტსმენი გ. გაზიუმოვი დაბრკოლების გადალახვისას.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა.

## გუშინ...

თბილისის ზღვაზე უკანასკნელი სტარტები მიეცა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის მონაწილეებს საწყლოსნო-სათხილამურო სპორტში. ბოლო ოქროს მედლები გათამაშდა ტრამპლინიდან ხტომაში, ქალთა შორის „ოქრო“ მოიპოვა ლ. ნეჩაევამ (მოსკოვი), ხოლო ვაჟთა შორის — ვ. მედვედევმა (მოსკოვი). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა.

# რესპუბლიკური...

სპორტული კინოფილმების შექმნაში ახალი შემოქმედებითი ძალების მოზიდვის, ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ხარისხის გაზრდისა და კინოპროდუქციის გამოშვების გაფართოების მიზნით, რესპუბლიკის სპორტკავშირმა და საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ცენტრალური სპორტკავშირის ბიუროს რეკომენდაციით დაადგინეს, რომ ნოემბერში თბილისში მოეწყოს სპორტული კინოფილმების რესპუბლიკური დათვალიერება. დათვალიერება (მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმებისა) მიეძღვნება საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

ფილმების შერჩევა და დათვალიერების ორგანიზაცია ევალება სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის ბიუროს. 3 საუკეთესო ფილმისთვის დანიშნულია პრიზები. ფილმები, რომლებიც ამ დათვალიერებაში მეორე ადგილებს დაიკავებენ (ყოველ განაკვეთში), დაჯილდოვდებიან დიპლომებით.

# ახალი ამბები

● **ლოძი, 12 სექტემბერი.** რამდენიმე დღის ერთობლივი წვრთნის შემდეგ მოსკოვის „სპარტაკის" ჰოკეისტებმა პირველი მატჩი გამართეს პოლონეთის ნაკრებთან და გაიმარჯვეს — 6:4.

● **ლ ო ნ დ ო ნ ი,** 12 სექტემბერი. 250 კბ სმ მანქანებით მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს შვედებმა — 28 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: დიდი ბრიტანეთი — 38, ბელგია — 44, ჩეხოსლოვაკია — 61, ფინეთი — 120, ჰოლანდია — 127 ქულა. საბჭოთა სპორტსმენები ჩემპიონატში ამჯერად არ მონაწილეობდნენ.

● **მილანი,** 12 სექტემბერი. **ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მზადების წინ ადგილობრივმა „ინტერნაციონალემ" მიიღო პორტუგალიის „სპორტინგი". მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. მილანელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს — 5:0 (3:0). გოლების ავტორები არიან მაცოლა (2), კორსო, დომენგინი და ჟაირი. „ინტერნაციონალე" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ბედინი, გუარნერი, რიჩი (სოლდო), დომენგინი (ჟაირი), მაცოლა, ვენიჩიო, სუარესი, კორსო (გოვერნატო).**

● **ლ ე ჩ ე** (იტალია), 12 სექტემბერი. ბოლონიის ტურნირის მოგების შემდეგ მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა აქ მატჩი გამართეს ადგილობრივ სპორტსმენებთან. თამაში ფრედ — 1:1 დამთავრდა. 70-ე წუთზე ანგარიში გახსნა ოსიანინმა, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე, ტრევი[...] საპასუხო გოლი გაიტანა. თამაშს 13 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

● **ბელგრადი, 12 სექტემბერი.** იუგოსლავიის საერთაშორისო ვე[...]რბოლაში 6 ეტაპის შემდეგ ლიდერობენ [...] ადგილზე [...] ჩეხოსლოვაკიელები, ხოლო III — უზბეკეთის ველოსიპედისტები[...]რად ჩათვლაში პირველ სამ ადგილზე იუგოსლავიელები — რ. ვალ[...]ჩი, რ. კუზმიჩი და ჯ. ბილიჩი არიან. ტაშკენტელი ი. პომანოვი VI[...] გილზეა და ლიდერთან 12 წუთსა და 22 წამს აგებს.

● **კ ა რ დ ი ფ ი,** 12 სექტემბერი. ცნობილი კენიელი სპორტსმენი კ. [...] გამოვიდა 1 მილზე რბენაში. მას სურდა მსოფლიო რეკორდის დამყარება, [...]რამ ამაოდ. მისი დრო 3.57,6, რაც 6,3 წამით უარესია ახლანდელ მ[...]ვაზე.

● **ნიუ-იორკი,** 12 სექტემბერი. **ბრაზილიელმა მ. ბუენომ გაიმ[...] ტრადიციულ საერთაშორისო ჩოგბურთის ტურნირში, რომელიც [...] იორკის მახლობლად ფორესტ-ჰილში გაიმართა. ეს ბრაზილიელის I[...] მარჯვებაა ამ ტურნირებში. ბუენო ახლა მსოფლიოს პირველ ჩოგ[...] თელად ითვლება. იგი სამჯერ გამოვიდა გამარჯვებული მსოფლიოს [...] ოფიციალურ პირველობაზე უიმბლდონში.**

● **ჰ ა მ ბ უ რ გ ი,** 12 სექტემბერი. თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა [...]თაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ცნობილმა უნგრელმა სპორტსმენმა ა. ბა[...] რომელმაც შესანიშნავი შედეგი — 5362 ქულა აჩვენა.

● **ბერგამო, 12 სექტემბერი.** ევროპის ჩემპიონმა 110 მე[...]

# სარბენ ბილიკებზე — არმიელები

თბილისელებს გაუმართლდათ. შარშან ისინი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უძლიერეს იუნიორთა შეჯიბრების მოწმენი იყვნენ. ახლა ფინალურ ასპარეზობას იხილავენ. „დინამოს" სტადიონზე დაიწყო სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ტრადიციულად, შეჯიბრება სპრინტერებმა გახსნეს. შეიარაღებული ძალების რეკორდსმენი 100 მეტრზე ქალთა რბენაში ვ. ბოლშოვა მოსკოველ 20 წლის სპორტსმენს ლ. ალფეევას შეხვდა. რა გაიმარჯვებს, ახალგაზრდობა თუ გამოცდილება? წინასწარ გარბენში ალფეევამ 11,9 აჩვენა, ხოლო ბოლშოვამ — 12,1. ფინალში პირუკუ მოხდა. ბოლშოვამ პირველი ადგილი აიღო (11,9), ხოლო ალფეევა მეორე იყო (12,1). მაგრამ ამ უკანასკნელს გული არ გატეხია და მაინც მოიპოვა ჩემპიონობა ორ სახეო-

## მძლეოსნობა

ბაში — 80 მეტრზე თარჯრბენსა (11,0) და სიგრძეზე ხტომაში — 586 სმ. როგორ გამოვიდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენი ქალები ამ სახეობაში? 80 მეტრზე თარჯრბენსა და სიგრძეზე ხტომაში მოასპარეზეთ ამაოდ ეძებდნენ (!), ხოლო 100 მეტრზე რბენაში ნ. გაბეხაძე X იყო (12,8), ლ. ლობჟევა — XVIII (13,0), ვ. იახშჩიანი კი — XIX (13,0).

ვაჟთა შორის ეს დისტანცია ბაქოელმა ვ. კასატკინმა მოიგო — 10,5. ასეთივე შედეგით II იყო ვ. ზუბი (საბჭოთა ჯარების ჯგუფი გერმანიაში). ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი ი. ბროიანი VIII ადგილზე გავიდა (10,9), ხოლო ა. დავითაია — XVII (11,1).

მეორე დღეს მეორე გამარჯვება იზეიმა ვ. ბოლშოვამ, რომელმაც 200 მეტრი 24,8 წამში გაირბინა. კვლავ წარუმატებლად გამოვიდა ვ. იახშჩიანი, რომელმაც თავის გარბენში ბოლო, VI ადგილი დაისაკუთრა.

საინტერესო იყო შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში! ოთხივე სპორტის ოსტატმა 2 მეტრი დაძლია. ცდების მიხედვით, გამარჯვება ს. სპირიდონოვს ხვდა. II ადგილზეა ს. მოსპანოვი. შეიარაღებული ძალების რეკორდსმენი ვ. ბოლშოვი III ადგილს დასჯერდა. IV იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი რ. ამზარიანი.

ამავე ოლქის მეორე წარმომადგენელი ვ. რუსტამოვი XV ადგილზე გავიდა — 190 სმ.

სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. ლიპსნისს ბირთვის კვრაში მედგრად შეებრძოლა ნაკლებ ცნობილი სპორტსმენი ვ. შევჩენკო. პირველ ცდაზე ლიპსნისმა მხოლოდ 4 სმ მოუგო ახალგაზრდა მეტოქეს. მეორე ცდაზე შევჩენკომ ბირთვი 16,80 მეტრზე კრა, ლიპსნისს კი, რომელიც ძალზე ნერვიულობდა, ბირთვი ხელიდან გაუვარდა. მესამე ცდაზე შევჩენკომ გააუმჯობესა შედეგი—17,11 მ. მანვე მოიპოვა ჩემპიონობა. ლიპსნისი II ადგილზე გავიდა —16,52 მ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი ვ. ბელიანსკი XIII იყო (14,42), გ. ატოიანი — XXIII (13,20).

10 კილომეტრზე რბენა მოიგო პ. ანდრეევმა (საბჭოთა ჯარების ჯგუფი გერმანიაში) — 30.07,2. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი ნ. დავიდენკო XVI ადგილზეა — 31.57,0.

ბადროს მტყორცნელ ქალთა შორის ტოლი არ ჰყავდა მოსკოველ ლ. მურავიოვას, რომელმაც 2 მეტრით აჯობა შეიარაღებული ძალების რეკორდსმენ ნ. პონომარიოვას. გამარჯვებულის შედეგია 50,13 მ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი ვ. კომაროვა XIII იყო (39,54 მ).

800 მეტრზე ქალთა რბენა მოიგო კიეველმა თ. დუნაისკაიამ — 2.07,6. ბოლო ადგილი ხვდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენს თ. ისმაილოვას — 2.33,0.

110 მეტრზე თარჯრბენში ყველა ჩამოიტოვა ლვოველმა ვ. მოსკალენკომ — 14,6. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენი მ. მამაჯანიანი IX ადგილზე გავიდა (15,5).

კარგად გამოვიდა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ბელორუსიელი დ. ხროლოვიჩი—1:32.15,0. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ათლეტი ვ. პავლოვი XXII ადგილს დასჯერდა (1:43.37,0).

სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ესტონელმა ტ. ლელიკმა — 759 სმ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებს — რ. ჩუბინიძესა და მ. ჭანტურაშვილს, შესაბამისად 672 და 673 სმ აქვთ.

ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომა ერთნაირი შედეგით (165 სმ) დაამთავრეს სსრ კავშირის ერთ-ერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა კ. პუშკარიოვამ (მოსკოვი) და გ. გუსოვსკაიამ (ლვოვი). ცდების მიხედვით, გამარჯვება ამ უკანასკნელს ხვდა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა ლ. ჩერნენკომ სულ 140 სმ დაძლია.

3 კილომეტრზე დაბრკოლებებით რბენაში I იყო ი. რიბაჩენკო (საბჭოთა ჯარების ჯგუფი გერმანიაში) — 8.59,2. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენი ვ. კომაროვი VII ადგილზე გავიდა — 9.25,4.

მეორე დღის ასპარეზობა იწურებოდა, როცა თავისი წარმატებით გაგვახარა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ათლეტმა მ. გრივამ. მან III ადგილი დაიკავა შუბის ტყორცნაში — 67,76 მ. I იყო მოსკოველი ვ. ოვჩინიკი — 71.64 მ.

შეჯიბრება გრძელდება.

ვ. ბუკინი.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — 80 მეტრზე თარჯრბენის ფინალური გარბენი (წრეში გამარჯვებული ლ. ალფეევა); ქვევით — ქალთა 100 და 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ვ. ბოლშოვა სტარტის წინ.

ფოტო ა. კოტორაშვილისა და ბ. ქვათაძისა.



# თუ გული გულობს...

რედაქციაში ყოველდღიურად შემოდის წერილები, რომლებიც მოგვითხრობენ ფიზკულტურული კოლექტივების ცხოვრებაზე, მათს მიღწევებზე, მომავლის გეგმებზე. მაგრამ არის კორესპონდენციები, რომლითაც ფიზკულტურელები დახმარებას გვთხოვენ. მაგალითად, სამტრედიის რაიონის სოფელ ნიგოზლვის ახალგაზრდები რ. გაგუა, მ. გაგუა და შ. მსხილაძე გვატყობინებენ, რომ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ამ სოფელში სტადიონის მოწყობა. ამასვე წუხან ცაგერის რაიონის სოფელ ლხვეისისა და ახალციხის რაიონის სოფელ ხეოთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელები. ბათუმის რაიონის სოფელ მარადიდის კომკავშირელები კი გვწერენ,— ათი წელია ვოცნებობთ, რომ კოლექტივში ფიზაღზრდის მეთოდისტი გვყავდეს. წლეულს ივლისში, როგორც იქნა, ჩვენი ოცნება ახდა. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა, მეთოდისტი უმალვე გაათავისუფლეს...

საყვედური სამართლიანია. აღნიშნული სოფლების მესვეურებს მეტი დაფიქრება მართებთ, რადგან სოფლად სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარებაც მათი საქმიანობის ერთ-ერთი ნაწილია. თუ არა მათ, მაშ ვინ უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი სპორტს მოწყურებულ ადგილობრივ ახალგაზრდობას? განა ასე ძნელია სპორტული ბაზების მოსაწყობად ნაკვეთის გამოყოფა, ფიზკულტურულ კოლექტივებში საზოგადოებრივი აქტივის შერჩევა და სპორტულ მუშაობაში ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმა? ამბობენ, თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო.

☆ ☆ ☆

# კარგი იქნებოდა...

დღითიდღე მშვენდება, იზრდება და ფართოვდება ქ. ზესტაფონი. სიხარულის მეტი რა გვმართებს ამის გამო, მაგრამ ზესტაფონელ ახალგაზრდებსა და სპორტის მოყვარულთ მაინც გულს აკლიათ, — განა კარგი არ იქნებოდა, რომ ქალაქში იყოს სპორტული სტენდები, კუთხე, სადაც დაინტერესებული ადამიანი გაეცნობოდა გათამაშებისა და რეკორდების ცხრილებს, ნახავდა სახელგანთქმული სპორტსმენების სურათებს... ჩვენი აზრით, ეს დიდად შეუწყობდა ხელს სპორტის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეს. ასევე სასურველია, ქალაქის ცენტრში დაიდგას „სოვეტსკი სპორტისა" და „ლელოს" ვიტრინები.

ვფიქრობთ, ეს არც ისე ძნელი საქმეა.

ა. ბანუზრავა.

# დაპირებულიო — დავიწყებულიო

დაირეკა თუ არა თბილისის 128-ე საშუალო სკოლაში წლევანდელი პირველი შეხვედრის მაუწყებელი ზარი, მოსწავლეებმა სპორტულ მოედანს მიაშურეს. მაგრამ იქ, რბილად რომ ვთქვათ, ქვა-ღორღით მოფენილი მიწის მეტი არაფერი დახვედრიათ.

ამ ორი წლის წინათ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სარემონტო კანტორამ სკოლის ეზოში მოსწავლეთათვის „მცირე სტადიონი" ააგო. აქ იყო 80 მ სიგრძის სარბენი ბილიკი, ბირთვის კვრის, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის სექტორები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. აქ ჩქეფდა სპორტული ცხოვრება.

გავიდა 1 წელი... იმავე სარემონტო კანტორამ მიიღო დაკვეთა, სკოლის შენობისთვის საკლასო ოთახები მიეშენებინა. პირობით, მშენებლები სკოლის სპორტულ ბაზას არ უნდა შეხებოდნენ, არ უნდა დაეზიანებინათ და დაენაგვიანებინათ. ისინიც დათანხმდნენ, შემდეგ კი პირობა გატეხეს, სპორტული მოედანი სამშენებლო მასალითა და იარაღით აავსეს და გავერანების პირამდე მიიყვანეს.

მართალია, მოსწავლეებმა ფიზაღზრდის მასწავლებლის ნ. კალანდაძის ხელმძღვანელობით ბაზის ერთი ნაწილი გაწმინდეს, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. სარბენ ბილიკზე ახლაც უძრავად დევს 2,5-ტონიანი რკინა-ბეტონის ფილა, ერთგან აწყვია 8-ტონიანი დეტალი გდია, ცოტა მოშორებით კი სამშენებლო ნაგავი — არმატურა, ფიცრები და ღორღი დაყრიათ.

მშენებლებს საჭიროდ დროებით სპორტდარბაზი გამოუყვეს. გამოიყენეს, მის დასუფთავებაზე კი აღარ უფიქრიათ.

ჩვენ ვკითხეთ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სარემონტო კანტორის მთავარ ინჟინერს ფ. ჩიჩუას, როდის მოიყვანენ წესრიგში სკოლის ეზოსა და სპორტდარბაზს. აი, მისი უხულგულო პასუხი: მოედნის აღდგენა ჩვენს მოვალეობაში არ შედისო (!?). უცნაური ლოგიკაა!

იქნებ ზემდგომმა ორგანოებმა განუმარტონ სარემონტო კანტორის მუშაკებს, რომ დაწყებულ საქმეს დამთავრება უნდა. გამოდის, რომ სპორტული მოედნის მოწყობაზე დახარჯული 4 ათასი მანეთი სკოლას ქარისთვის გაუტანებია.

ვ. ბუკია.

თარჯრბენში იტალიელმა ე. ოტოზმა თავის საყვარელ დისტანციაზე 13,6 აჩვენა. პოლონელი ი. კირშენშტეინი თავისთვის უჩვეულო ამპლუაში — სიმაღლეზე ხტომაში გამოდიოდა და I ადგილი დაიკავა — 168 სმ. ბუდაპეშტის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანს, თავის თანამემამულე ი. ბიელას მან 3 სმ-ით აჯობა.

● **ვილნიუსი, 13 სექტემბერი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი. I ადგილი დაიკავა ესტონელმა ოსტატმა ი. ნეიმ — 11,5 ქულა (17-დან). II იყო მინსკელი დიდოსტატი ა. სუეტინი — 11. III — ვ. დოროშკევიჩი (გროზნო) — 10,5.

● **ირკუტსკი,** 13 სექტემბერი. **საკავშირო ჩემპიონატის აქაურ ნახევარფინალში ადგილები ასე განაწილდა: I. ოსტატი ი. ნიკოლაევსკი (კიევი) — 13 ქულა (17-დან), II-III. დიდოსტატი ნ. კროგიუსი (სარატოვი) და საერთაშორისო ოსტატი ვ. ლიბერზონი (მოსკოვი) — 11-11. IV ადგილზე გავიდა ი. სახაროვი (კიევი) — 10,5, თბილისელმა ოსტატმა ბ. გურგენიძემ V-VI ადგილები გაიყო ა. შმიტთან (რიგა)—9,5-9,5.**

● ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, 13 სექტემბერი. აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი შაშში. 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ შარშანდელი ჩემპიონი ი. სპასკაია და მოსკოველი ოსტატი რ. გაგარინა — 5,5-5,5. შარშანწინდელ ჩემპიონს, ოსტატ ს. ოგოროდნიკოვას მხოლოდ 4 ქულა აქვს.

## ჩვენი ალბომი



აცდა...

ფოტოეტიუდი ბ. ქვათაძისა.

# დადგა გადამწყვეტი ეტაპი

ჩვენი ქვეყნის წლევანდელი სპორტული ცხოვრების მთავარ მოვლენას წარმოადგენს სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადა. აღნიშნული ღონისძიება განსაკუთრებით გამოირჩევა მასობრიობით. საკმარისია ითქვას, რომ ამ დიდმა ასპარეზობამ მიიზიდა 9 მილიონი ფიზკულტურელი. შეჯიბრებაში კარგი შედეგებით გამოდიან საქართველოს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" სპორტსმენები, რომლებიც სპორტის 6 სახეობაში ჩატარებულ ასპარეზობათა შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილზე არიან. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თავისუფალ ჭიდაობაში I ადგილი დაიკავეს, კლასიკურ ჭიდაობაში — III, ძალოსნობასა და ჭადრაკში — V, შაშში — VIII. ახლახან გაიმართა ასპარეზობა ცხენოსნობაშიც, სადაც ჩვენი სპორტსმენები V ადგილზე გავიდნენ (მწვრთნელები ბ. კორძაია და ი. ჩავიი). პირად პირველობაში იმარჯვეს გულრიფშელმა დ. ხოფერიამ და ზუგდიდელმა დ. მალანიამ. პირველმა ოქროს მედალი მოიხვეჭა ორჭიდში, ხოლო მეორემ — ბრინჯაოსი დაბრკოლებათა გადალახვაში (უმაღლესი კლასი).

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ 6 სახეობაში დამთავრებულ შეჯიბრებათა შედეგების დაჯამების შემდეგ პირველი ექვსეული ასე გამოიყურება: 1. „უროჟაი" (რსფსრ) — 84 ქულა, 2. „კოლგოსპნიკი" (უკრაინა) — 81, 3. „კოლმეურნე" (საქართველო) — 69, 4. „იიუდი" (ესტონეთი) — 66, 5. „ვარპა" (ლატვია) — 58.

სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადის პროგრამით ჩასატარებელი დარჩა შეჯიბრებანი ველოსპორტში, ფრენბურთში და მძლეოსნობაში. ველოსიპედისტები თავიანთ ძალებს ცდიან კიშინიოვში (15-18 სექტემბერს), ხოლო ფრენბურთელები და მძლეოსნები — ჩერკასში (19-25 სექტემბერს). ამ შეჯიბრებათა შედეგებზე ბევრი რამაა დამოკიდებული. სწორედ ახლა უნდა იმარჯვონ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე-სპორტსმენებმა და საერთო გუნდურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილი შეინარჩუნონ.

ჯ. ენდელაძე.

# დორტმუნდის საზრუნავი

25 სექტემბერს დორტმუნდში (გფრ) დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი ტანვარჯიშში. ეს უცილობლად ყველაზე დიდი მოვლენაა იმ ტრადიციულ შეჯიბრებებში, რომლებიც ოლიმპიადებს შორის პაუზებს ავსებენ. მსოფლიო გიმნასტრადამ პასუხი უნდა გასცეს ტოკიოს ოლიმპიადაზე წამოჭრილ კითხვებს, დაამტკიცოს ან უარყოს მათი სისწორე. ვინ არის დღესდღეობით უძლიერესი სატანვარჯიშო სარბიელზე? — აი, რის გაგება სურთ სპორტის მოყვარულებსა და სპეციალისტებს.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ა. მარიამოვი საბჭოთა ნაკრების დასავლეთ გერმანიაში გამგზავრების წინ შეხვდა გუნდის უფროს მწვრთნელს ვ. მურატოვს და ინტერვიუ ჩამოართვა მას.

● **დორტმუნდის ბრძოლების წინ უფრო მხიარული მეჩვენებით, ვიდრე დაფიქრებული...**

— ოღონდ, ჩემს ღიმილს თვითდაჯერებას ნუ მიაწერთ. ეს მთლად ასე როდია. მსოფლიოს ჩემპიონატზე მკაცრი ბრძოლაა მოსალოდნელი და ვინ გაიმარჯვებს, წინასწარ ეს ღმერთმაც არ უწყის. მაგრამ ჩვენი გუნდი ჩინებულად მოემზადა შეჯიბრებისთვის და მე ვფიქრობ, რომ იგი წარმატებით გამოვა დორტმუნდში.

● **მიგაჩნიათ თუ არა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი უფრო ძნელი და საინტერესო იქნება, ვიდრე ტოკიოს ოლიმპიადის გიმნასტრადა?**

— რასაკვირველია. როგორც ყველაფერი სხვა, ისე სპორტიც გამუდმებით ვითარდება, მაგრამ რა გზით? ვინ შეიძლება დღეისათვის ჩაითვალოს ტანვარჯიშში მოდის კანონმდებლად? ვინაა მართალი და რატომ? ბოლოს რა არის ჩვენთვის ახალი და უცნობი სხვა ტანვარჯიშულ ქვეყნებში? განა ყოველივე ამაში გარკვევა საინტერესო არაა? პირადად მე დორტმუნდში სწორედ ეს სამუშაო მელის. ამიტომ ყოველი წარსული შეჯიბრების ყოველი სასიამოვნო მოგონება ჩემთვის უფრო ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე მომავალი ტანვარჯიშული ბატალიები.

● **ტოკიოს ოლიმპიადა საბჭოთა ტანვარჯიშის უახლოესი წარსულია. სწორად გაგიგეთ თუ არა, რომ ამ შეჯიბრებამ დაგიტოვათ ძალზე სასიამოვნო მოგონებები?**

— დიახ. ვეცდები ახლაც გავაქარწყლო ამ კითხვის ირონიულობა.

სრული სიმართლეა, რომ ტოკიოში პირადი და გუნდური პირველობა წავაგეთ იაპონელ ვაჟებთან. ისიც სწორია, რომ პირველად დავუთმეთ ვერა ჩასლავსკას ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი. ასე რომ, წარმატებით მაინცდამაინც ვერ დავიტრაბახებდით. „წარმატებას" განგებ ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგან, ჩემი აზრით, ამ სიტყვის არასწორმა გაგებამ დაბადა ირონია და პესიმიზმი ოლიმპიადის შემდგომ კომენტარებში.

მე უკვე ვთქვი, რომ ტანვარჯიში გამუდმებით ვითარდება. ჩვენმა, თუ შეიძლება ითქვას, ფეერიულმა წარმატებებმა ჰელსინკში, მელბურნში და რამდენადმე რომში, ბევრს თავბრუ დაახვია. ასე მოხდა ჩვენში. იმ ქვეყნებში კი, სადაც სპორტული ტანვარჯიში არც ისე დიდი ხანია დაინერგა და შეიყვარეს, მაგრამ არც თუ დიდი წარმატება ჰქონდათ საერთაშორისო სარბიელზე ამ სახეობაში, ამ ამბავმა უკურეზონანსი გამოიწვია. მათ სცადეს ჩვენი ოსტატობის საიდუმლოებას ჩასწვდომოდნენ, დაიწყეს ახალი გზების ძიება ტანვარჯიშული კანონების გაგებისთვის, საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის გამოცდილების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების დაწვრილებით შესწავლა. ბუნებრივია, ასე საგულდაგულოდ მოვლილ ხეს ოდესმე ნაყოფიც უნდა გამოეღო. ასე მოხდა ტოკიოში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მეტოქეების წინსვლა გამოგვეპარა. არა. შეიძლება არ გვეგონა, რომ ეს წინსვლა ასეთი სწრაფი და ძლიერი იქნებოდა. ტოკიოში ჩვენს წარუმატებლობას მეორე მიზეზიც აქვს. ასპარეზობა დაემთხვა ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში ჩვენი ნაკრებისთვის რთულ პერიოდს — თაობის ცვლის პერიოდს. ჩვენი ასებიდან ზოგი უკვე აღარ იყო ისე ძლიერი, როგორც წინათ. ახალგაზრდებმა კი მსგავსი ტურნირებისთვის ვერ მოასწრეს შესაფერისად მომძლავრება და გამოცდილების შეძენა. ეს თავის მართლება არ გახლავთ, ჩემი განმარტებაა.

ასეა თუ ისე, მე სიამოვნებით ვიგონებ ტოკიოს. სიამოვნებით იმიტომ, რომ ოლიმპიურ ფიცარნაგზე ვაჩვენეთ ტრადიციული მაღალი ოსტატობა და საკმაო ჯილდო მოვიპოვეთ. კვლავ ვიგრძენით ჩვენი ძალა, გავიგეთ ჩვენი მეტოქეების რეალური შესაძლებლობები, გავერკვიეთ ტანვარჯიშის ახალ მიმდინარეობებში, ეს მიმდინარეობა კი ამჟამად ცოტა როდია. შევამოწმეთ ჩვენი ტანვარჯიშული ახალგაზრდობის პერსპექტიულობა: — აქაც როდი გაგვიცრუვდა იმედი. ასე რომ, ოლიმპიადამ საბჭოთა ტანვარჯიშს არა მარტო მორიგი წარმატება, არამედ ბევრი სასარგებლო, ძალზე სასარგებლო გაკვეთილიც მისცა. სასარგებლოს კი მუდამ მადლობის გრძნობით იგონებ.

მაგრამ, მგონი, მეტისმეტად შევაწყინეთ თავი, ამდენი ხანია, მხოლოდ მე ვლაპარაკობ, ეს კი არ მიყვარს...

● **თქვენ ლაპარაკობდით ოლიმპიადის გაკვეთილებისა და აღმოჩენების თაობაზე. რასაკვირველია, ამ წლებში თქვენ შეეცადეთ ყველაფერი გაგეთვალისწინებინათ, თქვენი არგუმენტები და სიურპრიზები მოგემზადებინათ. ესე იგი, საბჭოთა ტანმოვარჯიშეები დორტმუნდში გამარჯვებას იმედოვნებენ?**

— ოჰ, ოჰ, თქვენ ალბათ დაგავიწყდათ, რომ ვალენტინ მურატოვი ჯერ მხოლოდ ნაკრების უფროსი მწვრთნელია და არა ორაკული. მე მუდამ წინდახედულებას ვამჯობინებ. მით უფრო, პროგნოზებში...

● **მაშ რატომ...**

— არავითარი „რატომ". ჩვენ მივემგზავრებით დორტმუნდს, რომ გავიმარჯვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში რა საჭიროა საერთოდ წასვლა? ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით დიდხანს და ნაყოფიერად და დღეს შემიძლია გითხრათ, რომ უკვე მზადა ვართ. თუმცა დარწმუნებული იყავით, უქმად არც ჩვენი მეტოქეები კარგავდნენ დროს. პირველობა მათაც სურთ. ასე რომ, ჯერჯერობით უნდა დავჯერდეთ მხოლოდ ტრადიციულ ფრაზას — „გაიმარჯვებს უძლიერესი".

● **თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, ვინ მიგაჩნიათ საბჭოთა გუნდის მთავარ მეტოქედ მომავალ ჩემპიონატში? ხედავთ? უფრო ფრთხილი გავხდი შეკითხვისას.**

— ვაჟებში უთუოდ იაპონელები. ენდო, ნაკაიამა, მიცუკური, ერთი სიტყვით მთელი გუნდი. ახლაც უნდა ველოდოთ სიურპრიზებს იტალიელ მენიკელისა და იუგოსლაველ ცერარისაგან. ძლიერი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები ჰყავთ ჩეხოსლოვაკიელებსაც.

ქალებში მეტოქეობის ლაბირინთი, მართალია, უფრო მოკლეა, მაგრამ ამასთან უფრო, დახლართული გახლავთ. № 1 მაინც ჩასლავსკაა. ძლიერი გუნდი ეყოლებათ გერმანელებს, რომელთაც სათავეში ერიკა ბარტი, უტა შტარკე და ბრიგიტ როდოხლა უდგანან. ეს უკანასკნელი, როგორც ხმები დადის, კვლავ დაუბრუნდა ნაკრებს. ცუდ სპორტულ ფორმაში არ უნდა იყვნენ უნგრელი ტანმოვარჯიშეები, ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები და სწრაფად მზარდი [illegible] მაგრამ მთავარი [illegible]

როგორც ხედავთ, პრეტენდენტები საკმარისზე მეტი არიან. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობდი მომავალი ბრძოლის სირთულეზე.

● **ვინ დაიცავს საბჭოთა სპორტის ღირსებას მომავალ ჩემპიონატზე?**

— ამ რამდენიმე დღის წინათ გიპასუხებდით, არ ვიცი-მეთქი. და ეს ნამდვილად ასე იყო. ბოლო წლებში, კონკრეტულად, ოლიმპიადის შემდეგ, ჩვენში იმდენი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე გამოჩნდა სარბიელზე, რომ მათგან ყველაზე ღირსეულისა და ძლიერის შერჩევა არც თუ იოლი საქმეა. ჩვენ ამას ვაკეთებდით ძალზე ფრთხილად და ნაკრების საბოლოო შემადგენლობა მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში კანდიდატების ბოლო საწვრთნელ შეჯიბრებებზე დამტკიცდა.

დორტმუნდის ბატალიებზე საბჭოთა გუნდი 16 სპორტსმენით წარსდგება. მათგან 8 ქალია, 8 ვაჟი. მაგრამ შეჯიბრებებში გამოსვლა მხოლოდ ექვს-ექვს ტანმოვარჯიშეს მოუწევს. ასეთია ჩემპიონატის ფორმულა. 4 სპორტსმენი სათადარიგო იქნება. მაგრამ არა მაყურებელი, — შეიძლება ტურნირის წინ შემადგენლობები შეიცვალოს კიდეც.

● **ვინ არის ის 16 ტანმოვარჯიშე?**

— ვაჟები — მიხეილ ვორონინი, სერგი დიომიდოვი, ვიქტორ ლისიცკი, იური ტიტოვი, ვალერი კერდემელიდი, ბორის შახლინი, ლეონიდ არკაევი, ვალერი მედვედევი. ქალები — ნატაშა კუჩინსკაია, ლარისა პეტრიკი, პოლინა ასტახოვა, ზინაიდა დრუჟინინა, ლარისა ლატინინა, ოლღა ხარლოვა, ლიუდმილა სურმენიოვა და ალექსანდრა ჯანუყაშვილი. დორტმუნდში გამგზავრების შანსები არ დაუკარგავს ტატიანა კიტლიაროვასაც. როგორც ხედავთ, ორსავე გუნდს სათავეში ახალგაზრდობა უდგას.

● **საკმარისია თუ არა ის „მარაგი", რომლითაც საბჭოთა გუნდი მიემგზავრება მსოფლიო ფორუმზე?**

— მწვრთნელისთვის ეს ძალზე თავსატეხი შეკითხვაა. მაგრამ გეტყვით, რომ საბჭოთა გუნდის ტაქტიკური და ტექნიკური მარაგი საკმაოდ სოლიდურია. ეს ცხადად გამოჩნდა ბოლო დიდ შეჯიბრებებში. მაგრამ საკმარისია თუ არა ეს, ამას დორტმუნდი გასცემს პასუხს.

შევნიშნავ, რომ ახალი მიმდინარეობა მსოფლიო ტანვარჯიშში არ შეიძლება, ჩვენც არ შეგვხებოდა. უბრალოდ, სასაცილო იქნებოდა მისთვის გვერდი აგვევლო. საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის ტრადიციული თვისება პლასტიურობა, არტისტიზმი, სინატიფე და, შეიძლება ითქვას, მუშაობის ინტელექტუალობაა. ამას დაემატა ეფექტური „ულტრა სი", ტემპი, მოულოდნელი ტრიუკები და უმაღლესი ათლეტიზმი. ვიცი, რომ ბევრს ყველა ეს ნათქვამი შეიძლება მხოლოდ ზოგად ფრაზებად მოეჩვენოს, რა მეთქმის. დიდი შეჯიბრებების წინ მწვრთნელი არ უნდა იყოს ძალზე გულახდილი.

• • •

**ჩემპიონატისწინა წვრთნას კურორტ ლესელიძეში ატარებდნენ სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრები. ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ ნ. კუჩინსკაიას, ლ. ლატინინასა და ლ. პეტრიკს ვარჯიშისგან თავისუფალ დროს.**



# ბათუმის „სპარტაკის" აუზში

**ბათუმი,** 13 სექტემბერი **(ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.).** „სპარტაკის" საცურაო აუზში დაიწყო სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში პროფკავშირულ გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობს 15 კოლექტივი.

I ტურში საერთო ყურადღების ცენტრში იყო თბილისის „ბურევესტნიკისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" გუნდების შეხვედრა. პირველ პერიოდში ანგარიში გახსნეს უკრაინელმა სპორტსმენებმა, შემდეგ გ. უჩანეიშვილმა 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით აღადგინა თანაფარდობა — 1:1. III პერიოდში ცეროიანმა ზედიზედ 2 ბურთი ტყორცნა მეტოქეთა კარში და წინ გაიყვანა თბილისელთა გუნდი. შემდეგ ლებედევმა და უჩანეიშვილმა ხუთამდე აიყვანეს ანგარიში. შეხვედრის ბოლო წამებში „დნეპრის" თავდამსხმელებმა 1 ბურთის გაქვითვა შეძლეს. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 5:2.

მოგვყავს ამ დღის სხვა შეხვედრების შედეგები: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) 3:2, „ბურევესტნიკი" (მინსკი) — „ლოკომოტივი" (კიშინიოვი) 6:5, „ბალტიკა" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (ასტრახანი) 3:2, „შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი) — „შრომითი რეზერვები" (მოსკოვის ოლქი) 1:5, „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ერევანი) 4:2, „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 8:3.

II ტურში თბილისის ბურევესტნიკელები დამარცხდნენ ასტრახანის „სპარტაკთან" — 2:3.

სხვა მატჩების ტექნიკური შედეგები ასეთია: „ტორპედო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (მინსკი) 2:0, „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — „ლოკომოტივი" (კიშინიოვი) 2:3, „ტრუდი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (ერევანი) 8:6, „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) — „შრომითი რეზერვები" (მოსკოვის ოლქი) 3:3, „ჟალგირისი" (კაუნასი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) 1:3.

ჩემპიონატი 18 სექტემბრამდე გაგრძელდება.

ო. მურვანიძე.

# ევროპის საიუბილეო ჩემპიონატი

ევროპის X საიუბილეო პირველობა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის ჩატარდება რუმინეთში 1-10 ოქტომბერს. შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. „ა" ჯგუფში ითამაშებენ: ჰოლანდია, პოლონეთი, უნგრეთი, სსრ კავშირი, იტალია და ჩემპიონატის მასპინძლები — რუმინელები; „ბ" ჯგუფში გამოვლენ: ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იუგოსლავია და საფრანგეთი.

მოგვყავს იმ ჯგუფის შეხვედრათა კალენდარი, რომელშიც ითამაშებენ საბჭოთა კალათბურთელები:

2 ოქტომბერი. სსრ კავშირი — იტალია, პოლონეთი — უნგრეთი, რუმინეთი — ჰოლანდია.

3 ოქტომბერი. სსრ კავშირი — უნგრეთი, იტალია — ჰოლანდია, პოლონეთი — რუმინეთი.

4 ოქტომბერი. სსრ კავშირი — ჰოლანდია, უნგრეთი — რუმინეთი, იტალია — პოლონეთი.

5 ოქტომბერი. რუმინეთი — სსრ კავშირი, ჰოლანდია — პოლონეთი, უნგრეთი — იტალია.

6 ოქტომბერი. სსრ კავშირი — პოლონეთი, რუმინეთი — იტალია, უნგრეთი — ჰოლანდია.

ჯგუფებში I-II ადგილებზე გამოსული გუნდები გაითამაშებენ 4 საპრიზო ადგილს. ჩემპიონატის სამსაჯოდ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ პერსონალურად მიიწვია ბერგერი (შვეიცარია), აპოსტოლიდისი (საბერძნეთი), ჩოკოლოზი (თურქეთი) და ღინესკუ (რუმინეთი).





# ჩვენი სურვილი: მეხიკოშიც ფავორიტები ვიყოთ

ძნელია დაასახელო მეორე ისეთი უღბლო მოცურავე, როგორიც თბილისელი ალექსანდრე ტუტაკაევია. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ბრასისტი, ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილე, წლევანდლამდე სსრ კავშირის ჩემპიონიც კი არ ყოფილა.

... და აი, ივლისი, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის აუზი. ფინალური გაცურვა 200 მეტრზე ბრასის სტილით. მოსკოველ მაყურებელთა ყურადღების ცენტრშია 2 სპორტსმენი: მსოფლიო რეკორდსმენი და ევროპის ჩემპიონი გიორგი პროკოპენკო და ალექსანდრე ტუტაკაევი. 29 წლის ლვოველ ვეტერანს უკვე მოპოვებული ჰქონდა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება 100 მეტრზე ცურვაში და ახლა 200 მეტრის მოგებაც ეწადა. მაგრამ თბილისელმა გამარჯვება არ დათმო და პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

ფინიშის შემდეგ აღელვებულმა ტუტაკაევმა მიიღო ჩემი მილოცვა და თავის მწვრთნელს — ალექსანდრე საფრონოვს მიაშურა. მეორე დღეს მის წვრთნას დავესწარი. საფრონოვი ჩემპიონს უტრეხტისთვის — ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებდა.

და აი, დადგა სტარტის დღე. ფინალური შეხვედრების დაწყებამდე ჰოლანდიური გაზეთი „ხატპაროლი" წერდა: „22 წლის ტუტაკაევი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ევროპის მეფეს ბრასში — პროკოპენკოს". ეს სიმართლე იყო. მე „დენ ხომელის" ტრიბუნაზე ვიჯექი, როცა აუზის საცურაო ბილიკებზე მძაფრი ბრძოლა გაიმართა თანამემამულეთა შორის. თბილისელი სპორტსმენი სტარტიდანვე დაწინაურდა, მაგრამ უკანასკნელი მოსახვევის შემდეგ პროკოპენკომ მთელი ძალა დაძაბა და მეორედ მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონობა. ტუტაკაევმა ვერცხლის მედალი მიიღო.

— წარმატების იმედი მაინცდამაინც არ მქონდა, — საიდუმლოდ გამანდო პროკოპენკომ. ვფიქრობდი, პირველი ალექსანდრე იქნებოდა. სახელგანთქმული ვეტერანი ერთი წუთით გაჩუმდა და შემდეგ ისევ განაგრძო: კარგი იქნება, ოლიმპიურ აუზში, მეხიკოშიც ჩვენ ვიყოთ ფავორიტები. მთავარი ის კი არ არის, მე დავეუფლები ოლიმპიურ მედალს, თუ ალექსანდრე. მთავარი ისაა, რომ საბჭოთა სპორტსმენმა გაიმარჯვოს.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ა. საფრონოვი და ა. ტუტაკაევი წვრთნის წინ; მარჯვნივ — ა. ტუტაკაევი ავტოგრაფებს ურიგებს ნორჩ ჰოლანდიელებს „დენ ხომელის" შესასვლელთან.

ტექსტი და ფოტო ძ. ხაჩკოვანიანისა.

## უკანასკნელ საათს!

◆ ვარშავა, 13 სექტემბერი. პოლონეთის ძალოსანთა გუნდური პირველობა მოიგეს სპორტკლუბ შოპენიცეს სპორტსმენებმა. შეჯიბრების დებულება უჩვეულო იყო — საერთო ჩათვლაში მონაწილეთა მიერ დაგროვილი ქულები კი არ შედიოდა, არამედ მათ მიერ დაძლეული წონის ჯამი. შოპენიცელებმა შეძლეს 10.562,5 კგ-ის ჩვენება და თითქმის 400 კგ-ით გაუსწრეს ვარშავის „ლეტნიკის" გუნდს. შეჯიბრებაზე ცნობილმა პოლონელმა სპორტსმენმა პეტრუშეკმა (საშუალო წონა) დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი აჰიმვაში — 153 კგ.

◆ პრაღა, 13 სექტემბერი. აქ სტუმრად მყოფმა მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წააგეს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონ ბრნოს ზკლ-ს გუნდთან. მეტოქეები დღეს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად იმარჯვეს სტუმრებმა — 6:4.

◆ ბელგრადი, 13 სექტემბერი. იუგოსლავიის საერთაშორისო ველორბოლაში უკან დარჩა 9 ეტაპი. ლიდერის მაისურს კვლავინდებურად ფლობს იუგოსლაველი რ. ვალენჩიჩი. მომდევნო ადგილებზე არიან მისი თანამემამულეები რ. კუბრიჩი და ც. ბილიჩი. ტაშკენტელმა ი. პომინოვმა VI ადგილზე გადაინაცვლა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ველოსიპედისტები IV ადგილზე არიან.

◆ ვენა, 13 სექტემბერი. „ფინის" კლასით აფროსანთა ევროპულ ჩემპიონატში კიეველმა ვ. მანკინმა ვერ შეძლო საპრიზო სამეულში დარჩენილიყო. როგორც შარშან, ისე წლეულს, სუსტმა ფინიშმა იგი IV ადგილზე დატოვა. კონტინენტის ჩემპიონი გახდა ავსტრიელი ჰ. რაუდაშლი. ვერცხლის მედალს დაეუფლა ბრაზილიელი ბრუდერი, ბრინჯაოს — შვეიცარიელი კოლერი.

# თუ გსურთ ბავშვი ეზიაროს ჭადრაკს

თბილისის განათლების განყოფილებასთან 9 წელია მუშაობს ბავშვთა საჭადრაკო სკოლა. ეს პირველი სასწავლებელია ჩვენს ქვეყანაში, სადაც მაღალკვალიფიციური მწვრთნელები ასწავლიან ამ საინტერესო თამაშს. მრავალი წლის მანძილზე სკოლას ხელმძღვანელობდა სასიქადულო ქართველი ოსტატი ვ. გოგლიძე. მან თავის გარშემო შემოიკრიბა საუცხოო მწვრთნელები და დიდი მუშაობა ტრადიციად აქცია. მაშინ 7-8 წლის ნორჩი მოჭადრაკეები დღეს ჩვენი ჭადრაკის საიმედო ძალად იქცნენ. ამ მოჭადრაკეთა რიცხვს მიეკუთვნებიან საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის ც. კახაბრიშვილი, ც. კობაიძე, ოსტატობის კანდიდატები ე. უბილავა, გ. ციხელაშვილი, ლ. კერნოჟიცკი, ს. ჩერელიანი, ა. ლიპარტელიანი და ბევრი სხვა, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობებში.

ჭადრაკისადმი ბავშვების დიდმა ინტერესმა რამდენიმე წლის წინათ უკარნახა სკოლის მესვეურებს ჯგუფების გახსნა დედაქალაქის რაიონებში. ამან, რა თქმა უნდა, მალე გამოიღო სასურველი ნაყოფი — იმატა ნიჭიერი ბავშვების რაოდენობამ. ასე მაგალითად, ლენინის რაიონში, მე-4 საშუალო სკოლასთან გახსნილი ჯგუფების ბაზაზე შეიქმნა ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბი „ნაკადული" (მწვრთნელი შ. ინწკირველი), რომელმაც პიონერული ასაკის ბავშვებში დედაქალაქის ჩემპიონობა დაისაკუთრა პირად და გუნდურ პირველობებში. სხვათა შორის, „ნაკადულის" აღზრდილებია პერსპექტიული ნორჩი პირველთანრიგოსნები ნ. ხუბულური, ნ. ბაღაშვილი, ვ. ვეფხიშვილი და სხვები.

ეს-ესაა, დაიწყო ახალი სასწავლო წელი. სკოლამ და მისმა ფილიალებმა მიიღეს შევსება. მაგრამ არის კიდევ ბევრი მშობელი, რომელსაც სურს თავისი პირმშო აზიაროს ჭადრაკის საიდუმლოებას. მათთვის ვაქვეყნებთ მოსწავლეთა მიღების წესსა და სკოლისა (ბესიკის ქ. № 4) და მისი ფილიალების მისამართებს.

სკოლაში მიიღებიან 8 წლის გოგონები და ბიჭუნები.

ფილიალები (ჯგუფები) გახსნილია:

კალინინის, კიროვისა და ორჯონიკიძის (ვაკის) რაიონებისთვის „დინამოსა" (ბესიკის ქ. № 4) და ცენტრალურ საჭადრაკო კლუბებში (რუსთაველის პრ. № 48).

ორჯონიკიძის რაიონში (საბურთალოელთა თვის) მე-60 საშუალო სკოლაში (პავლოვის ქ. № 39).

ლენინის რაიონში — პიონერთა სახლში (მაგნიტოგორსკის ქ. № 4).

26 კომისრის რაიონში — პიონერთა სახლში (გურჯაანის ქ. № 22).

1-ლი მაისისა და ოქტომბრის რაიონებში — „განთიადის" საჭადრაკო კლუბში (პლეხანოვის პრ. № 95).

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 15 საათიდან, კვირას — 10-დან 14 საათამდე.

# წყლის აკრობატები

ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს წყალში ჯგუფური ფიგურული ხტომები. სპორტის ეს ორიგინალური სახეობა მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებასა და გამბედაობას ითხოვს. სპორტსმენები კარგად უნდა ფლობდნენ არა მარტო წყალში ხტომის ოსტატობას, არამედ ურთულეს აკრობატულ ილეთებსაც. აშშ-ში სისტემატურად ტარდება ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები. ეწყობა, აგრეთვე, ოფიციალური ტურნირები, უმთავრესად საუნივერსიტეტო გუნდებს შორის. სურათზე თქვენ ხედავთ წყალში ჯგუფური ფიგურული ხტომის ერთ ფრაგმენტს. ნახტომს ასრულებენ არიზონის უნივერსიტეტის სტუდენტი ბ. რაიტონი და ოგაიოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ჩ. კრონი.



# პირით ხაზს გარეთ...

## იუმორესკა

თითქოს მელოდება ხოლმე, როდის გავალ შინიდან სამსახურში. და მივუყვებით საუბარ-საუბრით ქუჩას. დინჯი კაცია, დარბაისელი.

— მაინც რა იყო კაცო, გუშინ!.. რა კომბინაციებიააწყეს ჩვენმა ბიჭებმა, არ დახაზეს მთელი მინდორი?

— ე, მასე გრძელი პასებით უნდა ითამაშონ, მაგრამ...

— მუდამ არ იქნება, ძმაო. მაყურებელს რომ უსმინო, გადაგრევს. ერთ წუთს რომ უსტვენენ და თათხავენ ფეხბურთელებს, მეორე წუთს ლამის ქებით დაიხრჩონ.

— აჰაა! ლანძღავენ ყველას, მერე ერთმანეთს დაერევიან, შეამკობენ... რას არ გაიგონებ კაცი!

— დაჯექი, შე დალოცვილო, უყურე, ისიამოვნე, დაისვენე, ადექი და წადი შინ. ერთმანეთი რად უნდა დაკლან?

— გაგიგონია!

— დაიწყებენ ანალიზებს, განხილვას, ესო — ბარქაიას უკან მიაქვსო ბურთი, მიშას მზამზარეული მიართვიო...

— ეგ კი უთქვამთ მართალი!

— რა, კაცო?

— რა და რაზედაც ლაპარაკობდი.

— ახლა შენ იტყვი, ფეხბურთი მესმისო?

— აბა, შენ გესმის? ჯერ არის და ილანძღები, გაიტანენ ბურთს და დაიხეთქავ ხელის გულებს ტაშის ტყაპუნით.

— შენ ყველა სიკეთესთან ერთად, უსინდისოც ყოფილხარ...

— უსინდისოს ხმა მესმის!

— მიშა მეხი რომ დგას — უკვე ფინტია, გესმის! ამას კაცი რომ ვერ დაინახავს, იდიოტია.

— იდიოტი შენ ხარ და დეგენერატი კიდევ! სამი წელია გიყურებ, რა ვაჟბატონიც ბრძანდები...

— მე მართლა რეგვენი ვარ, შენ რომ ფეხბურთზე გეკამათები.

— კრეტინი ხარ ვილაცა...

— დურაქ!

ასეა ყოველდღე...

მეორე დილით კი...

— კაი გამარჯობა შენი!

— კაი გაგიმარჯოს!

— რაზე გავცხარდით ახლა, კაცმა რომ იკითხოს, გუშინ?

— რა ვიცი, რა არის აქ საჩხუბარი...

— წადი, უყურე, ისიამოვნე, დაისვენე. ერთმანეთი რად უნდა დაკლან ან გაათახსირონ, სიჭინავამ თუ არ ითამაშა...

— რომელმა სიჭინავამ, გიორგიმ თუ ბორიამ?

— გიორგიმ. არ ითამაშა, არ გამოუვიდა...

— რა არ გამოუვიდა, კაცო. ეხლა შენ უნდა თქვა, მესმის რამეო? გადამრევს ეს კაცი!

— შერცხვენილი კაცი ვიყო, შენ თუ რაიმე გაგეგებოდეს.

— მართლა იდიოტი უნდა იყოს კაცი, კაცი, რომ...

... ჰოდა, წავა მერე და იტყვის, ვიღაცა — რა არის აქ საჩხუბარიო.

მართლაც, რა?

ზ. ბეჟუაშვილი.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-18, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.